



ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 35 - ა

ქ. თბილისი

19 აპრილი 2019 წელი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯში „სპექტრი“ მარეგულირებელი წესების დამტკიცების შესახებ

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის მოადგილის გარდასული ავალიშვილის მიერ 2019 წლის 17 აპრილს N442046 სამსახურებრივი მითითებით დასამტკიცებლად წარმოდგენილია „პროფესიულ სტუდენტთა ან/და მსმენელთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის-ელექტრონული ჟურნალის (eJournal.emis.ge) და კოლეჯის რეესტრის (ელექტრონული ბაზება evet.emis.ge ან/და სხვა) წარმოების წესი“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფის პროცედურას“ ახალი რედაქციით.

“პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ წესდების მე-5 მუხლის „ე“ პუნქტით თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა ან/და მსმენელთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის ელექტრონული სისტემის-ელექტრონული ჟურნალის (eJournal.emis.ge) და კოლეჯის რეესტრის (ელექტრონული ბაზება evet.emis.ge ან/და სხვა) წარმოების და ადმინისტრირების წესი“ №1 დასახელებით შესაბამისად.

2. დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი „სპექტრი“ პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის მრპოვების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურა“ №2 დანართის შესაბამისად.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2014 წლის 06 აგვისტოს N110-ა ბრძანება და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის 2018 წლის 25 იანვრის N8-ა ბრძანება.
4. ბრძანება განთავსდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე და კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს 2019 წლის 22 პრილიდან.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) და თბილისის საქალაქო საკრებულოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მისამართი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

კოლეჯის დირექტორი



როინ (მათე) ტაკიძე